ხელშეკრულება №Ш18-18
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე

ქ. თბილისი

28/12/2017 წ.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის მუხრან შამათავას სახით და სს „სილქნეტი", შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში ხელშეკრულება) _ ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ ნიშნავს `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის `ა~ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 IPTV მომსახურება ან მომსახურება - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების გაწევა ინტერნეტ პროტოკოლების მეშვეობით;

1.6 შეკვეთის ფორმა - ამ ხელშეკრულების დანართი, რომლითაც განისაზღვრება შემსყიდველის მიერ შეკვეთილი IPTV მომსახურების სახე, ძირითადი მახასიათებლები და ანგარიშსწორების პირობები; IPTV აპარატურა - IPTV მომსახურების გასაწევად საჭირო აპარატურა (STB, კაბელები, სვიჩი და სხვა);

1.7 Set-Top Box (STB) – IPTV მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ტელევიზორს და სატელევიზიო სიგნალის გარე წყაროს და აქცევს სიგნალს კონტენტად, რომელიც შემდეგ აისახება ტელევიზორის ეკრანზე;

1.8 ტელეარხი - შეკვეთილი მომსახურების პაკეტში შემავალი და შეკვეთის ფორმით განსაზღვრული სატელევიზიო არხი;

1.9 ინსტალაცია - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის შიდა ქსელში IPTV აპარატურის მონტაჟი და შემსყიდველისათვის შეკვეთილი მომსახურების გაწევის დაწყება;
1.10 სადემარკაციო წერტილი – ადგილი, სადაც შემსყიდველის შიდა ქსელი უერთდება მიმწოდებლის საერთო საკომუნიკაციო ქსელს და, სადაც ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ვალდებულებების გამიჯვნა. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, IPTV აპარატურა მდებარეობს სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს, შემსყიდველის შიდა ქსელში;
1.11 მენეჯერი - მიმწოდებლის ერთ-ერთი მენეჯერ-თანამშრომელი, რომელიც შემსყიდველთან ურთიერთობაში მოქმედებს მიმწოდებლის სახელით;
1.12 სამუშაო საათები - დროის პერიოდი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა უქმე დღეებისა), თბილისის დროით დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე;
1.13 საანგარიშო პერიოდი - კალენდარული თვე;
1.14 ინდივიდუალური შეტყობინება - შეკვეთის ფორმით განსაზღვრულ შემსყიდველის საკონტაქტო მონაცემებზე მიმწოდებლის მიერ გადაცემული წერილობითი შეტყობინება, ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით განსაზღვრული ინდივიდუალური შეტყობინების სხვა ფორმა;
1.15 მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტის დადგენილება #3-ით დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV92220000) IPTV სატელევიზიო მომსახურების შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N 1- ის შესაბამისად.
2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება მოიცავს მხოლოდ არხების რეტრანსლირების სერვისს და არ შედის, ,,მიმწოდებლის" მიერ განსაზღვრული, დამატებითი ფასიანი მომსახურებები, როგორიცაა 18+, ვიდეოთეკა (Video on Demand) და სხვა ფასიანი მომსახურებები, რომელთა სარგებლობის შემთხვევაში შემსყიდველს ყოველთვიური მომსახურების ღირებულებასთან ერთად დაეკისრება აღნიშნული ფასიანი მომსახურების გამოყენებისათვის დარიცხული საფასურის გადახდა.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დანართი N1 - ის შესაბამისად.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვეში წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მხარე პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი პირდაპირი ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ს ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ს ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ამ მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.7 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ (ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში თუკი ცალკეულ მომსახურებებს ეხება პირობების დარღვევა).

6.8 თუ ხელშეკრულების მხარე მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.9 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, გარდა იმ შემთხვევებისა თუ უხარისხობა გამოწვეულია პროგრამული ვირუსებით, შემსყიდველის ლოკალური ქსელის გაუმართაობით.

მუხლი 8. მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება_ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიუწოდებელ მომსახურებაზე მოითხოვოს მიუწოდებელი მომსახურების საფასურის გამოქვითვა შემსყიდველის მიერ გადასახდელი მომდევნო თვის საფასურიდან.

8.3 მომსახურების გაწევის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამმართველოს ხელმძღვანელი **მიხეილ ფიცხელაური**.

8.4 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამართველოს პირველი კატეგორიის უმცროსი სპაციალისტი **ვეფხია მაისურაძე.**

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე, თუ ამგვარი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე.

გ)შემსყიდველს მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება" ხელშეკრულების ან/და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის მანძილზე 24 საათს.

დ) მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით განსაზღვრული წესითა და ვადებში აღმოფხვრას „მომსახურებასთან" დაკავშირებული დაზიანება.

ე) კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები.

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების განხორციელების გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „კომპანიის" ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების/დაზიანების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

გ) არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების" ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და "ფროდის" მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას „კომპანიის" ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი მოწყობილობა ან/და „ტექნიკური საშუალება" ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. „აბონენტი" უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, „კომპანიის" მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს.

დ) შემოსული ან გასული ტრაფიკის და სხვა ტიპის ზარების შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.

ე) შემსყიდველის შესახებ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „კომპანიის“ მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ "აბონენტი" წინასწარ წერილობით უარს განუცხადებს "კომპანიას".

3) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.

ზ) „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ კონკრეტული სახის მომსახურების შესაბამის დანართში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით.

თ) მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული „მომსახურება“ და არ დაუშვას „კომპანიისგან“ მიღებული „მომსახურების“ შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ „მესამე პირზე“.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

12.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

12.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

12.5 მომსახურების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხორციელდება წინამდებარე „ხელშეკრულების“, მისი დანართების პირობათა შესაბამისად და მათი დაცვით.

12.6 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია „ხელშეკრულების“ პირობებისად შესაბამისად, შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს ცალკე ანგარიშზე არსებული მომსახურება, ასევე ერთიანი ანგარიშის ფარგლებში მიწოდებული ყველა ის მომსახურება, რომლის მიწოდებაც შემსყიდვლისთვის ხორციელდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით და ერთ-ერთი მათგანის მიწოდება ტექნიკურად დამოკიდებულია მეორის მიწოდების უწყვეტობაზე, ასევე შეწყვიტოს ნებისმიერი სახის მომსახურება აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე.

12.7 შემსყიდველის მიერ ნებისმიერი ტიპის დაზიანების შემთხვევაში, წერილობითი განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს „კომპანიის“ ნებისმიერ სერვის-ცენტრში, ან ზეპირი შეტყობინება უნდა განხორციელდეს მხოლოდ სატელეფონო მომსახურების ცენტრში ცხელი ხაზის ნომერზე - 2 100 100. „კომპანია“ ვალდებულია შემსყიდველს ზემოაღნიშნული განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღისა აღმოფქვრას დაზიანება.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს №4;
ტელ: 2-235-149;
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. N GE24NB0330100200165022;
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22;
სკ-203851126.

მინისტრის მოადგილე
მუხრან შამათავა

მიმწოდებელი:

სს „ სილქნეტი"
მის: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
ტელ: 2-100-200
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. #GE97TB7404936070100004,
სს „თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22
სკ-204566978.

კომერციული დირექტორი
ნუგზარ ჩინჩალაძე

დანართი №1

„აბონენტის“ მიერ მისაღები „მომსახურებების“ ჩამონათვალი

წინამდებარე დანართით და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, „აბონენტი“ „კომპანიისგან“ იღებს ქვემოთ მოცემულ „მომსახურებებს“.

თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე დანართით:

„მომსახურების ღირებულება“ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგს);

„მხარეთა“ შორის ანგარიმსწორება ხორციელდება ლარში

მომსახურება	მისამართი	ტარიფი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი

სილქ ტვ (ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტექნოლოგიით) მომსახურების შესახებ

ტექნიკური მოწყობილობები			ფასი მოცემულია ლარში
STB	□	აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში	გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახადში
STB-ს პულტი	□	აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში	გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახადში

- მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში და მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებით ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).
- სატელევიზიო არხები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება სილქ ტვ–ის საშუალებით, 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
- მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.silknet.com , ცხელ ხაზზე: 2 100 200 დარეკვით ან სერვისცენტრების მიმართვის გზით.
- აბონენტს შეუძლია გაეცნოს სილქ ტვ–ის დამატებითი მომსახურების სახეებსა და ტარიფებს სილქ ტვ–ის მენიუს მეშვეობით.

2. **მომსახურების ძირითადი პირობები**

2.1. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**

- ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, **საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით.**
- ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის სააბონენტო გადასახადთან ერთად.

2.2. **მომსახურების შეზღუდვის პირობები**

- მომსახურება იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.
- აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების სააბონენტოსა და სასაუბრო წუთებისა) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.

2.3. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები (წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**

- თუ აბონენტის მიერ არ მოხდება დავალიანების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.
- აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის–ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
- ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2.4. **მომსახურების აღდგენის პირობები**

- მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

3. **მოწყობილობების დაბრუნება**

3.1. დავალიანების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ტვ მსახურებასთან ერთად VOIP სატელეფონო მომსახურება, ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

3.2. აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ „ხელშეკრულების“ შეწყვეტისთანავე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ინტერნეტ, სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურება, და იგი ითხოვს მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას (და იტოვებს სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურებას), ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების“ დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების“ აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება.

3.4. აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ცხრილში მითითებული „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება მომსახურების მიღების პერიოდში (ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის არარსებობისას) „ტექნიკური საშუალებების“ დაზიანების/განადგურების შემთხვევაში.

მოწყობილობის დასახელება	მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება ლარში
დეკოდერი (STB)	125

წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის“ ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის“ მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

კომპანია:

სს "სილქნეტი"

კომერციული დირექტორი
ნუგზარ ჩინჩალაძე

აბონენტი:

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მინისტრის მოადგილე
მუხრან მ[illegible]თავა

დანართი 2

სილქ ტვ (ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტექნოლოგიით) მომსახურების შესახებ

მომსახურება	მისამართი	ტარიფი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი
SILKTV პაკეტი "ლაითი"	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა	15 ლარი

სს "სილქნეტი"

ნუგზარ ჩინჩალაძე

(ხელმოწერა)

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მუნიციპალიტეტი

(ხელმოწერა)

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2017 წლის „28" „[illegible]"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად **4 ტელევიზორზე ციფრული ტელევიზია „SILKTV"-ის მომსახურების** შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ მუხრან შამათავა

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ მიხეილ ფიცხელაური

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ვეფხია მაისურაძე